09. 11. 2022წ.

სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ დაშბაშის საჯარო სკოლა

სოციალური პროექტი

თემა: **ჩემი მშობლიური სოფელი**

კლასი: 5-6

მასწავლებელი: ჟანარ კალაჩიან

პროექტის მიზანი:

1. სოფლის, როგორც ქვეყნის და ხალხის ისტორიის შესწავლა;

2. მშობლიური სოფლისადმი სიყვარულის გრძნობის ჩამოყალიბება.

3. სოფლის ცხოვრების ცვლილების გაცნობა და ბუკლეტების დარიგება სოფლის მოსახლეობასთან.

დაშბაში არის პატარა სომხური სოფელი წალკის რაიონში, რომელიც წალკიდან მხოლოდ 2 კილომეტრით არის დაშორებული და დაახლოებით 370 მოქალაქე ცხოვრობს.. იგი მდებარეობს ზთვის დონიდან დაახლოებით 1500 მეტრის სიმაღლეზე 200 მეტრიანი კანიონის კიდეზე. ეს არის ეგრეთ წოდებული დაშბაშის კანიონი, რომელიც ცნობილია თავისი ულამაზესი ჩანჩქერით . გარდა კანიონისა, სოფელში არის ორი უძველესი ტაძრი და საპიკნიკე ადგილი.

1829 წელს თურქეთიდან აქ გადმოვიდნენ სომხები და თავიანთ დასახლებას "დაშბაშ" - ქვაზე სოფელი უწოდეს. წალკის მხარის აღმოსავლეთ ნაწილში ის ერთადერთი სომხური სოფელია. სოფელში ორი ტაძარია.

წმინდა გიორგის ეკლესია და

ჯვრის გუმბათოვანი ტაძარი.

წერენ, რომ იგი თრიალეთის ერისთავმა რატიმ ააგო X-XI საუკუნეში. სავარაუდოდ, ეს ეხება რატი I (960 - 988 წწ.) ბაღვაშს ანუ რატი II-ს (1005 - 1021 წწ.).

სოფელ დაშბაშის ერთ-ერთი ღირებულებას წარმოადგენს სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ დაშბაშის საჯარო სკოლა. სკოლა აშენდა 1972 წელს. ბოლო 17 წლის განმავლობაში სკოლას რამდენჯერმე ჩაუტარდა რეაბილიტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქალაქ წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბატონ არსენ ჯმუხაძის დახმარებით. სკოლის დირექტორი ევა კალაჩიანი 50 წელზე მეტია მუშაობს ამ სკოლის დირექტორად და მასწავლებლად, თავისი მუშაობის პერიოდში მან დიდი წვლილი შეიტანა სკოლის განვითარებაში, სკოლის მოსწავლეების აღზრდაში, საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები სწავლას განაგრძობენ სხვადასხვა საშუალო სკოლებში, იღებენ უმაღლესი განათლებას და მუშაობას იწყებენ კარგ პოზიციებზე ქალაქ წალკაში და

ქვეყნის სხვა რეგიონებში. სკოლაში, წმინდა გიორგის ტაძარის მღვდელმთავრის მამა გიორგის ხელმძღვანელობით გაიხსნა მუზეუმები, რომელიც ყოველთვის მზადაა მიიღოს სოფლისა და ჩვენი ქვეყნის ყველა დამთვალიერებლი, ასევე ტურისტები მთელი მსოფლიოდან.

ბოლო 5 წლის განმავლობაში სოფელ დაშბაშში ბევრი ცვლილებაა, ნელ-ნელა იცვლება ინფრასტრუქტურა, არის ნაწილობრივ ასფალტირებული გზა, ქუჩები განათებულია, ყველა ეზოში მოდის სასმელი წყალი, დამონტაჟდა გაზსადენი . სამომავლოდ სოფელში გაზი ამოქმედდება, შენდება ახალი ჰიდროელექტროსადგური (ჰესი) ჰესის უფროსის რუბენ გალუსტიანის ხელმძღვანელობით. სკოლამდე გზა მთლიანად მოასფალტდა, წყალი სკოლის ტერიტორიაზე მიყვანილია და ამ ყველაფერში უდიდესი წვლილი მიუძღვით ჩვენი სოფლის მმართველსს ბატონ რუბენ ხაჩატურიანს და წალკის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ილია საბაძეს. ასევე სოფელში არის კერძო სახელოსნო ინდ. მეწარმე "აღუნიკ კოჩარიან" , სადაც ხდება სამშენებლო ბლოკის წარმოება. ბლოკების წარმოება არის მომგებიანი ბიზნესი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი მოგება გამოიმუშაოს და ხელი შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

სოფელ დაშბაშის ქარხნის არსებობა სოფლის მოსახლეობას სამშენებლო მასალების დაბალ ფასად შეძენის საშუალებასაც აძლევს.

ახლა სოფელში დიდი განვითარება ჰპოვა - ტურიზმმა და ტურიზმი გახდა სოფელში ცხოვრების წესი, იზრდება ტენდენცია სერვისების სპექტრის გაფართოებისა და ახალი რეკრეაციული ობიექტების გაჩენისკენ. სოფელში Kass Land-ის წყალობით შეიქმნა სოფლის მცხოვრებთათვის სამუშაო ადგილები, ასევე დიდი როლი ითამაშა სოფლის განვითარებაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სენი-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია სენმა , რამაც ხელი შეუწყო სოფელ დაშბაშში ახალი ობიექტების გახსნას - როგორებიცაა ინდ.მეწარმე მაია მკრთჩიანის საოჯახო სასტუმრო "ᲝᲘ"; ინდ.მეწარმე ედვარდ სასტუმრო „ედის დაჩა“, არმენ მკრტჩიანის კაფე„ ედის დაჩა დაჩა დაჩა "; ლიილა აივაზიანის სასტუმრო და კაფე "პანარამა" ; ეს ობიექტები გამოირჩევა თავისი მდებარეობით გადაჰყურებენ დაშბაშის კანიონს, მომხმარებლებს სთავაზობენ უმაღლესი ხარისხის მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს მრავალფეროვან მომსახურებას, მაღალი სტანდარტებისა და ტექნოლოგიების გავრცელებას კორპორატიულ დონეზე. სოფელ დაშბაშის მკვიდრმა ჟანარ კალაჩიანმა სენის ორგანიზაციის წყალობით განახორციელა პროექტი „ყვავილები წალკაში““ ყვავილების მოყვანა-გაყიდვა (ჰოლანდიური ვარდები ყველა შემთხვევისთვის) წალკის მთელ რეგიონში. ამჟამად სოფელი დაშბაში ყვავის, ბოლო დრომდე ეს ადგილი ნაკლებად ცნობილი და მიტოვებული იყო, ახლა კი ეს ადგილი მთელმა მსოფლიომ გაიცნო და აქ ტურისტების ნაკადი არ წყდება.

ინდ.მეწარმე მაია მკრთჩიანის საოჯახო სასტუმრო "ია";

ინდ.მეწარმე ედვარდ მკრთჩიანის სასტუმრო „ედის დაჩა“

ემდ.მეწარმე ჟ.კალაჩიანის სათბური „ ყვავილები წალკა“